თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლეილა ნოზაძე

ჰიპოვოლემიის განვითარების ფარმაკოლოგიური ანალიზი ჰემორაგიული შოკის დროს

14.00.25 - ფარმაკოლოგია

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2006

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული პათოფიზიოლოგიის განყოფილების და ეპრ ლაბორატორიის ბაზაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები - თამარ სანიკიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

- თამარ კეზელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ოფიციალური ოპონენტები: - ნიკო გონგაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (14.00.25);

- სერგო ჯაიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (14.00.27).

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის ---------- -------- სთ-ზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სადისერტაციო საბჭოს m 14.16 N6 სხდომაზე (0177, თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზ. №33)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (0160, თბილისი. ვაჟა-ფშაველას გამზ. №29)

ავტორეფერატი გაიგზავნა 2006 წლის ---------- ----------

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი - ნ. ბეჟიტაშვილი

Тбилисский государственный медицинский университет

На правах рукописи

Лейла Нозадзе

ФАРМАКОЛОГИЧЕСКИЙ АНАЛИЗ МЕХАНИЗМОВ РАЗВИТИЯ ГИПОВОЛЕМИИ ПРИ ГЕМОРРАГИЧЕСКОМ ШОКЕ

14. 00. 25 – Фармакология

А В Т О Р Е Ф Е Р А Т

диссертации, представленной на соискание
ученой степени кандидата медицинских наук

Тбилиси
2006

Работа выполнена на базе НИИ медицинской биотехнологии АН Грузии и отделения экспериментальной патофизиологии и ЭПР лаборатории ТГМУ

Научные руководители: - **Саникидзе Тамара,** доктор биологичских наук, профессор;

- **Кезели Тамара,** кандидат медицинских наук.

Официальные оппоненты: - **Гонгадзе Нико,** доктор медицинских наук, профессор (14.00.25);

- **Джаиани Серго,** доктор медицинских наук, профессор (14.00.27).

Защита диссертации состоится _____ 2006 года _____ч., на заседании N6 m 14.16 диссертационного совета в Тбилисском государственном медицинском университете (0177, Тбилиси, пр. Важа-Пшавела N33).

Ознакомиться с диссертацией можно в библиотеке Тбилисского государственного медицинского университета (0160, Тбилиси, пр. Важа-Пшавела N29).

Автореферат разослан _____ _____2006 года

Ученый секретарь диссертационного совета,
кандидат медицинских наук, доцент - Н.Бежиташвили

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა. ჰიპოვოლემიური შოკის ზუსტი პათოფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა, მისი პროფილაქტიკა და მკურნალობა თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ჰემორაგიული შოკი ჰიპოვოლემიური შოკის ერთ-ერთი სახეა, რომლის დროსაც უხვი სისხლკარგვის (ჰემორაგიის) შედეგად მცირდება მოცირკულირე სისხლის მოცულობა, რაც საშუალო არტერიული წნევის დაქვეითებას, ვენური შევსების შემცირებას, გულის კუნთის შეკუმშვის ძალის დაქვეითებას და შოკის განვითარებას განაპირობებს. ჰიპოვოლემიური შოკისათვის დამახასიათებელია რეფლექსური ვაზოდილატაციით განპირობებული მწვავე ჰიპოტენზია (Landry D.W., Oliver J.A., 2001). ამგვარად, უხვი ჰემორაგიის საკვანძო რგოლი - მოცირკულირე სისხლის მასასა და სისხლძარღვების მოცულობას შორის შეუსაბამობაა.

ჰიპოვოლემიის განვითარებისას, სისხლის პლაზმაში კატექოლამინების შემცველობის მკვეთრ მომატებას და რენინ-ანგიოტენზიური სისტემის აქტივაციასთან ერთად, სისხლძარღვების გლუვი კუნთის რეაქციულობის მკვეთრ შემცირებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება; ეს უკანასკნელი, შესაძლოა, სისხლძარღვთა სხვადასხვა ტიპის უჯრედებში (მაგ., გლუვი კუნთის და ენდოთელურ უჯრედებში, ვაზოაქტიური ნივთიერებების სინთეზის დარღვევით იყოს განპირობებული (Scott J.A., et al., 1999, Goren M.Z., et al., 2001).

მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ დარღვევებს, ბოლომდე შესწავლილი არ არის (Pieder D., et al., 1999).

მრავალი კვლევა მოწმობს იმის შესახებ, რომ ჰიპოვოლემიური შოკის დროს არტერიული წნევის რეგულაციაში აზოტის ჟანგს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. ჰიპოვოლემიური შოკის დროს NO-ს ვაზოდილატაციური აქტივობა შემდეგი მექანიზმების საშუალებით ხორციელდება:

1. მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების ფოსფატაზას გააქტივებით, რის შედეგადაც ადგილი აქვს მიოზინის დეფოსფორილირებას, სისხლძარღვების გლუვი კუნთის მოდუნებას და ვაზოდილატაციის განვითარებას;
2. სისხლძარღვების გლუვი კუნთის პლაზმურ მემბრანაში კალიუმის არხების გააქტივებით, რაც არხების უშუალო ნიტროზილირების ან cGMP დამოკიდებული პროტეინკინაზას აქტივაციის მეშვეობით ხორციელდება.
3. ვაზოპრესინ-დამოკიდებული მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სისხლძარღვების ტონუსის აღდგენას NO-ინდუცირებული cGMP-ის აქტივაციის დაქვეითების მეშვეობით, ასევე ვაზოდილატაციის გაძლიერებას ოქსიტოცინ-ენდოთელური რეცეპტორების მიერ ენდოთელური NO-სინთაზას აქტივაციის გზით.

მაშასადამე, როგორც ჩანს, NO მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰიპოვოლემიური შოკის პათოგენეზში და სამომავლოდ ის, შესაძლოა, ახალ თერაპიულ სამიზნესაც კი წარმოადგენდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰემორაგიული შოკის დროს არტერიული წნევის რეგულაციის მიზნით კალციუმის ბლოკატორებთან ერთად NO-ს სინთეზის მოდულატორების გამოყენება პერსპექტიულად გვესახება.

დასახული კვლევის **მიზანია** ჰემორაგიული შოკის დროს ჰიპოვოლემიის განვითარების ზოგიერთი

მოლეკულური მექანიზმის დადგენა მისი ფარმაკოლოგიური ანალიზის გზით.

კვლევის ძირითადი ამოცანები:

1. ექსპერიმენტული ჰემორაგიული შოკის საწყის ეტაპზე (უხვი სისხლკარგვიდან 15 წუთის შემდეგ):
   ა) ვაზოაქტიური ნივთიერებების, აზოტის ჟანგის (NO) და ენდოთელინის შემცველობის განსაზღვრა სისხლში;
   ბ) სისხლის რედოქს-აქტიური ნაერთების, სუპეროქ-სიდრადიკალების (O_2^-) და ლიპოპეროქსიდების (LOO^-) შემცველობის განსაზღვრა;
   გ) სისხლის პრო- და ანტიოქსიდანტურ სისტემათა აქტივობის განსაზღვრა;
   დ) ფილტვის არტერიაში Ca^{2+} იონების შემცველობის განსაზღვრა;
   ე) ღვიძლში NO-ს შემცველობის, მიტოქონდრიული და მიკროსომული ელექტრონული სატრანსპორტო ჯაჭვის შესწავლა;
   ვ) ღვიძლში მიკრომორფოსტრუქტურული ცვლილებების დადგენა.
2. ექსპერიმენტულ ჰემორაგიულ შოკზე სხვადასხვა პრეპარატის (კალციუმის ანტაგონისტების (იზოპტინის), NO-სინთეზის ბლოკატორების (L-NAME) და პლაფერონ ლბ-ს (პლბ)) წინასწარი ზემოქმედების ფონზე ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების ცვლილებათა გამოვლენა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

1. პირველად იქნა კომპლექსურად შესწავლილი ჰემორაგიული შოკით ინდუცირებული ჰიპოვოლემიის განვითარების მოლეკულური მექანიზმები. გამოვლენილია ჰემორაგიული შოკით

ინდუცირებული ჰიპოვოლემიის დროს NO-ს საკვანძო პათოგენეზური როლი სისხლძარღვების ტონუსის რეგულაციაში – კონსტრიქციულ და დილატაციურ მექანიზმებს შორის ბალანსის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების პროცესში.

2. ნაჩვენებია, რომ ჰემორაგიული შოკის დროს NO-დამოკიდებული რელაქსაციური მექანიზმების (მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების დეფოსფორილირება, მემბრანის ჰიპერპოლარიზაცია Ca^{2+}-დამოკიდებული K^{+}-ის არხების მონაწილეობით, უჯრედშიგა დეპოებიდან კალციუმის გამოთავისუფლების ინჰიბირება და სარკოპლაზმურ რეტიკულუმში მისი სეკვესტრაციის აქტივაცია) Ca^{2+}-დამოკიდებულ კოსტრიქციულ მექანიზმებზე პრევალირება არტერიული წნევის მკვეთრ დაქვეითებას განაპირობებს.

3. პირველად არის ნაჩვენები, რომ ჰემორაგიული შოკის დროს კალციუმის ანტაგონისტის – იზოპტინის არტერიულ წნევაზე მასტაბილიზებელ მოქმედებას საფუძვლად უდევს Ca^{2+}-ის შემცველობის შემცირებით განპირობებული ენდოთელური eNOS-ს აქტივობის დაქვეითება და სისხლძარღვების გლუვი კუნთის NO-დამოკიდებული დილატაციური მექანიზმების მოშლა.

4. პირველად არის დადგენილი, რომ ანტიოქსიდანტური ბუნების პრეპარატის, პლაფერონ ლბ-ს ზემოქმედებით ორგანიზმის რედოქს-ჰომეოსტაზისა და რედოქს-დამოკიდებული NO-ს სინთეზის ნორმალიზების პირობებში სისხლძარღვების ვაზოაქტივობის რეგულაციის მოწესრიგება და არტერიული წნევის სტაბილიზაცია ხდება.

დაცვაზე გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. ჰემორაგიული შოკით ინდუცირებული ჰიპოვოლემიის პათოგენეზში NO ასრულებს საკვანძო როლს სისხლძარღვების ტონუსის მარეგულირებელ კონსტრიქციულ და დილატაციურ მექანიზმებს შორის ბალანსის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებაში.
2. ჰემორაგიული შოკით ინდუცირებული ჰიპოვოლემიის დროს ორგანიზმის რედოქს-ჰომეოსტაზის და რედოქს-დამოკიდებული NO-ს სინთეზის ნორმალიზება სისხლძარღვების რეაქციულობის რეგულაციის აღდგენას უწყობს ხელს.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგენილია ჰემორაგიული შოკით ინდუცირებული ჰიპოვოლემიის პათოგენეზში NO-ს და ჟანგვითი ჰომეოსტაზის მნიშვნელოვანი როლი. მიღებული შედეგების საფუძველზე, რეკომენდაციას ვუწევთ ანტიოქსიდანტური პრეპარატების ჩართვას ჰემორაგიული შოკის მკურნალობის სქემაში.

ნაშრომის აპრობაცია.

დისერტაციის ძირითადი დებულებები მოხსენებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილებების გაერთიანებულ სხდომაზე.

პუბლიკაციები.

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 საერთაშორისო მიმოქცევის ჟურნალებში.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს 100 ნაბეჭდ გვერდს. შედგება თავებისაგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, საკუთარი გამოკვლევები, მიღებული შედეგების განხილვა, დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები. დისერტაცია ილუსტრირებულია 7 დიაგრამით, 4 ფოტოსურათით, 7 ცხრილით. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა მოიცავს 210 წყაროს.

მასალა და მეთოდები

1. ჰემორაგიული შოკის მოდელირება

ექსპერიმენტები ჩატარებულია უჯიშო მამრობითი სქესის სქესობრივად მომწიფებულ თეთრ ვირთაგვებზე წონით 180-200 გ.

ჰემორაგიულ შოკს ვიწვევდით საძილე არტერიიდან უხვი სისხლკარგვით. სისხლის დანაკარგი სხეულის მასის 2-3%-ს შეადგენდა (არტერიული წნევის 60 mm Hg-მდე). შემდგომში 15 წუთის განმავლობაში ვაწარმოებდით დაკვირვებას არტერიული წნევის ცვლილებების დინამიკაზე ვერცხლისწყლის მონომეტრის საშუალებით, რომლის კანულა ფიქსირდებოდა ცხოველების საძილე არტერიაში.

ჰიპოვოლემიის განვითარების მექანიზმების დადგენის მიზნით ჩავატარეთ წნევის დინამიკის ფარმაკოლოგიური ანალიზი, რისთვისაც ჰემორაგიულ შოკს ვიწვევდით სხვადასხვა მოქმედების პრეპარატების ფონზე: კალციუმის ანტაგონისტის – იზოპტინის; NO-სინთაზას ინჰიბიტორის

– LNAME-ს (N^{ω}-L-arginine metylesther (SIGMA)) და ანტიოქსიდანტის – პლაფერონ ლბ-ის. გამოყენებული პრეპარატები შეგვყავდა ჰემორაგიული შოკის გამოწვევამდე 15 წუთით ადრე.

ცხოველები გაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად:

I. ჰემორაგიული შოკი;

II. იზოპტინი (დოზით 1,4 მგ/კგ) + ჰემორაგიული შოკი;

III. L-NAME (დოზით 0,5 მგ/კგ) (Molnar M., et al., 1994, Martinez-Orgado J., et al., 2003) + ჰემორაგიული შოკი;

IV. პლაფერონი ლბ (დოზით 8,0 მგ/კგ) + ჰემორაგიული შოკი.

საკონტროლო ჯგუფს შეადგენდნენ ინტაქტური ცხოველები.

ექსპერიმენტის ბოლოს (ჰემორაგიული შოკის გამოწვევიდან 15 წუთის შემდეგ) ცხოველები ექვემდებაებოდნენ ევთანაზიას ზოგადი ანესთეზიის პირობებში (ნატრიუმის ეთამონალი დოზით 40 მგ/კგ).

ვირთაგვების სისხლში ვიკვლევდით თავისუფალი NO-ს, სუპეროქსიდრადიკალების და ლიპოპეროქსიდების შემცველობას ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) სპექტროსკოპული და სპინ-ხაფანგების მეთოდით; ენდოთელინის შემცველობას იმუნოფერმენტული მეთოდით; ვირთაგვების ფილტვის არტერიაში Ca^{2+} იონების შემცველობას ვსაზღრავდით ალიანი ფოტომეტრიის მეთოდით. ვაწარმოებდით ღვიძლის ეპრ-სპექტროსკოპულ და ჰისტოლოგიურ კვლევას.

2. ლაბორატორული კვლევები.

ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) სპექტროსკოპული მეთოდი.

ეპრ კვლევები ტარდებოდა რადიოსპექტრომეტრზე РЭ-1307 (რუსეთი), რომელიც ოპერირებს ზემაღალი სიხშირის არეში 9.77 GHz მოდულაციის სიხშირით 50 kHz , თხევადი აზოტის (-196^{0}C) ტემპერატურაზე..

ვსწავლობდით სისხლის და ღვიძლის ეპრ სპექტრებს. სპექტრების რეგისტრაცია ტარდებოდა მოდულაციის ამპლიტუდაზე 0,6 mT და მიკროტალღოვანი გამოსხივების სიმძლავრეზე 100 mVt.

სისხლში და ღვიძლში თავისუფალი აზოტის ჟანგის განსაზღვრის მიზნით ვიყენებდით სპინ-ხაფანგს, ნატრიუმის დიეთილდითიოკარბამატი (DETC) (SIGMA). DETC (დოზით 500 მგ/კგ) და Fe^{2+}-ციტრატი (50 მგ$FeSO_{4+}$· $6H_2O$+ 250 მგ ნატრიუმის ციტრატი კგ-1) შეგვყავდა ინტრაპერიტონიალურად (Mikoyan V.D., et al., 1995). ცხოველებს ვკლავდით სპინხაფანგის შეყვანიდან 15 წუთის შემდეგ; NO-Fe^{2+}-$(DETC)_2$ კომპლექსების ეპრ სპექტრები ისაზღვრებოდა თხევადი აზოტის ტემპერატურაზე მიკროტალღოვან სიმძლავრეზე 20 mVt (Галаган М.Е., и др., 1997).

სისხლში პეროქსილრადიკალების ($LOO^{\cdot}$) განსაზღვრის მიზნით ვიყენებდით სპინხაფანგს α-ფენილ-*tert*ბუტილნიტრონ (PBN) (SIGMA), რომელიც შეგვყავდა ინტრაპერიტონიალურად (PBN-ის 150 мM/l-ზე Tris-ბუფერის 25мM/lkg (pH=7,4)) (Tabatabaie T., et al., 1997). ცხოველებს ვკლავდით სპინხაფანგის შეყვანიდან 15 წუთის შემდეგ. $LOO^{\cdot}$-ს ეპრ სპექტრებს ვსაზღვრავდით ოთახის ტემპერატურაზე მიკროტალღოვან სიმძლავრეზე 20 mВт.

სისხლში ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების (სუპეროქსიდრადიკალების) განსაზღვრის მიზნით ვიყენებდით სპინ-ხაფანგს 5,5 დიმეთილ-I-პიროლინ-IV-ოქსიდი (DMPO) (SIGMA). ვაწარმოებდით სისხლის ინკუბაციას DMPO-თან (დოზით 50 mM на 1 მლ სისხლზე) 3 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე (Kramer

H.J., et al., 1994, Xia Y., Zweer J.L., 1997). სუპეროქსიდრადიკალების ეპრ სპექტრებს ვსაზღრავდით ოთახის ტემპერატურაზე მიკროტალღოვან სიმძლავრეზე 20 mВт.

იმუნოფემენტული მეთოდი.

სისხლში ენდოთელინ-1-ის განსაზღვრას ვაწარმოებდით იმუნოფერმენტული მეთოდით კიტ-ნაკრების (Endothelin-1 Enzyme Immunoassay Kit, Cayman Chemical) გამოყენებით.

სპექტროფოტომეტრული მეთოდი.

სისხლის შრატში ანტიოქსიდანტური ფერმენტის, კატალაზას აქტივობის განსაზღვრა

ანტიოქსიდანტურ ფერმენტ კატალაზას აქტივობას ვსაზღვრავდით Aebi-ის მეთოდით (1984), რომელიც მოდიფიცირებულ იქნა М. А. Королюк, Л. И. Иванова-ს და სხვების მიერ (1988) სპექტროფოტომეტრი СФ-46 ЛОМО-ს გამოყენებით.

მეთოდის პრინციპი დამყარებულია წყალბადის ზეჟანგის უნარზე მოლიბდენის მარილებთან წარმოქმნას მყარი შეფერილი კომპლექსი. 0.1 მლ სისხლის შრატს ვუმატებდით 2.0 მლ 0.03% H_2O_2-ის ხსნარს. ცრუ სინჯში შრატის ნაცვლად ვიღებდით 0.1 მლ დისტილირებულ წყალს. რეაქციას ვაჩერებდით 10 წთ-ის შემდეგ 1.0 მლ 4%-იანი ამონიუმის მოლიბდატით. წარმოქმნილი შეფერილობის ინტენსივობას ვსაზღვრავდით 410 ნმ ტალღის სიგრძეზე სპექტროფოტომეტრ СФ-46 ЛОМО-ზე საკონტროლო სინჯის მიმართ, რომელშიც H_2O_2-ის მაგივრად ვუმატებდით 2 მლ წყალს.

კატალაზას აქტივობას შრატში ვიკვლევდით შემდეგი ფორმულით:

$E=(A_{ცრუ}-A_{ცდა})V_1$(მკატ/ლ-ზე)t

სადაც E არის კატალაზის აქტივობა (მკატ/ლ-ზე), $A_{ცრუ}$ და $A_{ცდა}$ – ცრუ და ცდის სინჯის ექსტინქციები; V შეტანილი სინჯის რაოდენობა (0,1მლ), t-ინკუბაციის დრო (10წთ), k – H_20_2-ის მილიმოლარული ექსტინქციის კოეფიციენტი, $22,2*10^3$ მ $^{-1}$ სმ$^{-1}$.

სისხლის შრატში სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ) აქტივობის განსაზღვრა.

სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ) აქტივობას ვსაზღვრავდით რიედ-ის (1970) მეთოდით, რომელიც მოდიფიცირებული იყო E. B. Макаренко-ს მიერ (1988).

ერითროციტებს ვრეცხავდით ფიზიოლოგიურ ხსნარში. 0.5 მლ ერითროციტული მასის ჰემოლიზს ვახდენდით 0,5 მ ტრის- HCI-ით (pH=7,4). ჰემოგლობინის დალექვის მიზნით ჰემოლიზატს ვუმატებდით 0,25 მლ 96%-იან ეთანოლს და 0.15 მლ ქლოროფორმს; ვრეცხავდით 5წთ-ის განმავლობაში სიცივეზე და ვაცენტრიფუგებდით 10წთ 5000გ-ზე.

სოდ-ის განსაზღვრისათვის 0.02 მლ სუპერნატანტს ვუმატებდით საინკუბაციო არეს, რომელიც შეიცავდა 2,7 მლ ბუფერს (0,05M K_2HPO_4 და 0.1 mM EDTA-ს), 0.1 მლ 1.5 მ ნიტროლურჯ ტეტრაზოლს, 0.1 მლ - მეთილ-ფენაზონ-მეთილსულფატს და ვსაზღვრავდით ოპტიკურ სიმკვრივეს 540 ნმ ტალღის სიგრძეზე. შემდეგ სინჯს ვუმატებდით 0.1 მლ NADH-ს, ვტოვებდით 10 წთ სიბნელეში t=30^{0}C ტემპერატურაზე და ამის შემდეგ ისევ ვზომავდით ოპტიკურ სიმკვრივეს. რეაქციაზე ვმსჯელობდით შთანთქმას შორის მიღებული სხვაობით, აქტივობის ერთეულად ვიღებდით ნიტროლურჯი ტეტრაზოლის აღდგენის რეაქციის დამუხრუჭების 50%-ს.

ფერმენტის აქტივობას გამოვხატავდით 1 მლ ერითროციტებზე.

ალიანი ფოტომეტრიის მეთოდი.

ფილტვის არტერიის ქსოვილში Ca^{2+}კალციუმის იონების განსაზღვრის მიზნით ვაწარმოებდით არტერიის წინასწარ მინერალიზაციას. მინერალიზაციის პროდუქტს, მასით 100 მგ ვხსნიდით HNO_3-ში (1 მლ ქიმიურად სუფთა HNO_3 + 9 მლ დისცილირებული წყალი). იონიზირებულ ხსნარში კალციუმის იონების შემცველობას ვსაზღვრავდით ალიანი ფოტომეტრის (ფოტომეტრზე ПФМУ42) საშუალებით.

ჰისტოლოგიური კვლევები.

ექსპერიმენტული ცხოველების ღვიძლის ქსოვილი ფიქსირდებოდა 12%-ან ფორმალინში და ყალიბდებოდა ცელოიდინში. ანათლებს ვღებავდით ჰემატოქსილინ-ეოზინით.

სტატისტიკური დამუშავება.

მიღებული შედეგების სტატისტიკურ ანალიზს ვაწარმოებდით სტანდარტული სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. სხვაობის სარწმუნო შეფასებას ვაწარმოებდით სტიუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით.

საკუთარი კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ჰიპოვოლემიური შოკი ჰემორაგიული შოკის ერთ-ერთი სახეა. უხვი სისხლკარგვის (ჰემორაგიის) შედეგად მოცირკულირე სისხლის მოცულობა მცირდება, რაც საშუალო არტერიული წნევის დაქვეითებას, ვენური შევსების შემცირებას, გულის კუნთის შეკუმშვის ძალის დაქვეითებას და შოკის განვითარებას განაპირობებს.

ჰემორაგიული შოკით ინდუცირებული ცირკულაციური ჰიპოტენზია მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. მათ შორის აღსანიშნავია არტერიების გლუვკუნთოვანი უჯრედების ჰიპომგრძნობელობა კონსტრიქციული სტიმულების მიმართ, ქსოვილების ჟანგბადით არასაკმარისი მომარაგება და ვაზოდილატაციური მოქმედების მქონე ფაქტორების გააქტივება. ამ ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთქმედება ბოლომდე არ არის დადგენილი. ჩვენი კვლევის მიზანია ჰემორაგიული შოკის დროს ჰიპოვოლემიის განვითარების ზოგიერთი მოლეკულური მექანიზმის დადგენა, რისთვისაც შევისწავლეთ ჰიპოვოლემიის მიმდინარეობა სხვადასხვა მოქმედების მექანიზმების მქონე პრეპარატების (კალციუმის ანტაგონისტების (იზოპტინის (ვერაპამილის)), NO-სინთაზას ბლოკატორის (LNAME) და ანტიოქსიდანტის (პლაფერონ ლბ-ს)) წინასწარი ზემოქმედების ფონზე.

ჩვენი კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ჰემორაგიული შოკის (ა.წ. 60 mm Hg) განვითარებიდან 15 წუთის შემდეგ ვირთაგვების არტერიული წნევა (აწ) ქვეითდებოდა და აღწევდა 50 mm Hg-ს. იზოპტინის, L-NAME-ის და პლაფერონ ლბ-ის წინასწარი შეყვანის ფონზე 15 წუთის განმავლობაში ჰემორაგიული შოკის მდგომარეობაში მყოფი ვირთაგვების არტერიული წნევა იზრდებოდა დაახლოებით 33%-ით (ცხრილი 1).

ჰემორაგიული შოკის დროს ჰიპოვოლემიის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი - მოცირკულირე სისხლის მასას და სისხლძარღვების მოცულობას შორის შეუსაბამობაა. უხვი სისხლკარგვის (ჰემორაგიის) შედეგად მცირდება მოცირკულირე სისხლის მოცულობა, რაც არტერიული წნევის დაქვეითებას, ვენური შევსების შემცირებას, გულის კუნთის შეკუმშვის ძალის დაქვეითებას და შოკის განვითარებას განაპირობებს.

ჰემორაგიული შოკით ინდუცირებული ცირკულაციური ჰიპოტენზია მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. მათ შორის აღსანიშნავია არტერიების გლუვკუნთოვანი უჯრედების სტრუქტურების (α-ადრენორეცეპტორების) ჰიპომგრძნობელობა კონსტრიქციული სტიმულების მიმართ (Kai l., et al., 2004), ქსოვილების ჟანგბადით არასაკმარისი მომარაგება, და ვაზოდილატაციური მოქმედების მქონე ფაქტორების, აზოტის ჟანგის და TNF-α-ს, პროდუქციის გაძლიერება (Scott J.A., et al., 1999, Goren M.Z., et al., 2001).

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ იცვლება ჰიპოვოლემიური შოკის დროს (მის საწყის ეტაპებზე) სისხლში ანტაგონისტური მოქმედების მქონე ვაზოაქტიური ნაერთების (ვაზოდილატატორის, თავისუფალი აზოტის ჟანგის, და ვაზოკონსტრიქტორის, ენდოთელინის) შემცველობა. ჩვენი კვლევის შედეგად დადგენდა, რომ ჰემორაგიული შოკის განვითარებიდან 15 წუთის შემდეგ სისხლში მკვეთრად იზრდება (47%-ით) თავისუფალი აზოტის ჟანგის შემცველობა, პარალელურად ენდოთელინის რაოდენობის 18%-ით გაზრდით (ცხრილი 2).

ენდოთელინი – პოტენციური ხანგრძლივი მოქმედების ვაზოკონსტრიქტორია როგორც *in vitro,* ისე *in vivo* (Luscher T.F., et al., 1992, Kiowaski W.et al., 1991,. Luscher T.F., et al., 1990). შინაგან ორგანოებსა და კორონარულ არტერიებში ენდოთელინ-1-ის დაბალი და ზღურბლოვანი კონცენტრაციები (რომლებიც არ ავლენენ მნიშვნელოვან კონსტრიქციულ ეფექტს) სხვა ვაზოკონსტრიქტორების მოქმედების პოტენციირებას უზრუნველყოფს (Yang Z., et al., 1990, Dohi Y.,et al., 1992). გარდა ამისა, ენდოთელინს გააჩნია ენდოთელურ უჯრედებში რელაქსაციური ფაქტორების – პროსტაციკლინის და NO-ს გათავისუფლების აქტივაციის უნარი, რომელიც ხორციელდება მისი ET_B-

რეცეპტორებთან ურთიერთქმედებით (Arai H., et al., 1990, Sakurai T., et al., 1990). NO, თავის მხრივ, აინჰიბირებს ენდოთელინის სინთეზს (Boulanger C., Luscher T.F. 1990, 85, 587-590).

კომპენსაციური ჰემორაგიული შოკის დროს სისხლის მიმოქცევის ჰომეოსტაზის რეგულაციის მექანიზმები მიმართულია კარდიალური დებიტის და არტერიული წნევის ნორმალურ დონემდე აღდგენისკენ. არტერიული წნევის ჰომეოსტაზის რეგულაციის მექანიზმების მოშლის შემთხვევაში ადგილი აქვს შოკური მდგომარეობის პროგრესირებას. შოკის პროგრესირება სხვადასხვა ქსოვილში და სისტემაში ჰუმორული და მეტაბოლური (ვაზოაქტიური (ვაზოკონსტრიქტორების და ვაზოდილატატორების), მეტაბოლური, ენდოკრინული, ფერმენტული) ფაქტორების შენაცვლებითი აქტივაციის და დეპრესიის, მანკიერი ციკლების მთელი კომპლექსის ჩამოყალიბების შედეგს წარმოადგენს. უხვი სისხლკარგვის შედეგად არტერიული წნევის მკვეთრი შემცირება კორონარული ნაკადის დაქვეითებას, მიოკარდიუმის კუმშვადობის და კარდიალური დებიტის შემცირებას განაპირობებს. არტერიული წნევის და ქსოვილების პერფუზიის პროგრესული დაქვეითება და იშემიის განვითარება ვაზოდილატაციური აქტივობის მქონე ნაერთების აკუმულაციას და სისხლძარღვების რეზისტენტობის დაქვეითებას უწყობს ხელს. პერიფერიული სისხლძარღვების დილატაცია კაპილარების ჰიდროსტატიკური წნევის მომატებას განაპირობებს, რაც შემდგომში სითხის დაკარგვას და არტერიული წნევის ვარდნას უწყობს ხელს (Prasad K., Lee P., 2002).

ჰემორაგიული შოკის დროს აღიარებული ვაზოდილატატორის, NO-ს მკვეთრი მომატება ზემოთ აღწერილი ვაზოდილატაციური კომპენსაციური რეაქციის

შედეგს წარმოადგენს. ამ დროს ვაზოკონსტრიქციული აქტივობის მქონე ენდოთელინის გამოყოფის სუსტ გაძლიერებას (18%-ით) აქვს ადგილი, რაც შეიძლება განპირობებული იყოს აქტივირებული ენდოთელური უჯრედების მიერ მისი სინთეზის გაძლიერებით ან სისხლის პლაზმაში ენდოთელინის კლირენსის დაქვეითებით (Voerman et al., 1992, Mitaka et al., 1998, Avontuur et al., 1999). ითვლება, რომ, ექსტრემალურ პირობებში NO-ს და ენდოთელინის რეცეპტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმები განსხვავდება ამ ვაზოაქტიურ ნაერთებს შორის ფიზიოლოგიურ პირობებში ბალანსის დამყარების მექანიზმისაგან (Wiley K. E., Davenport A.P., 2001). ჰემორაგიული შოკის დროს ეს ბალანსი მიმართულია NO-ს დილატაციური მოქმედე-ბისკენ, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ჭარბი NO-ს მიერ ენდოთელინის რეცეპტორების ნიტროზილირებით (Wiley K. E., Davenport A.P., 2001). აღნიშნულის შედეგად არტერიული წნევა აგრძელებს კლებას, რაც ჩვენი კვლევის შედეგებით მტკიცდება.

Ca^{2+} - მნიშვნელოვანი მეორადი მესენჯერია, რომელიც გლუვი კუნთის კუმშვადობისა და სისხლძარღვების ტონუსის რეგულაციაში მონაწილეობს (Jian H., Stephens N.L., 1994, Sobol C.V., Nesterov V.P. 1997).

სისხლძარღვების გლუვი კუნთის კუმშვად აქტივობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არტერიული წნევის რეგულაციის პროცესში. უჯრედებში კალციუმის დაგროვება ხორციელდება პოტენციალდამოკიდებული კალციუმის არხებით, აგრეთვე, სარკოპლაზმური რეტიკულუმიდან და მიტოქონდრიებიდან (უჯრედშიდა კალციუმის 90%-ზე მეტია ლოკალიზებული ამ ორგანელებში) გათავისუფლების გზით. სისხლძარღვების გლუვი კუნთის უჯრედებში კალციუმის ნაკადის გაძლიერება უჯრედშიდა თავისუფალი კალციუმის დონეს

მომატებას განაპირობებს. Ca^{2+} იონები კალმოდულინთან კომპლექსში იწვევენ მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების ფოსფორილირების მაინდუცირებელი კინაზას გააქტიურებას და სისხლძარღვების გლუვი კუნთის კონსტრიქციას უწყობენ ხელს.

ამის გარდა, Ca^{2+} იონები ააქტიურებენ ენდოთელური eNO-სინთაზას და ხელს უწყობენ NO-ს სინთეზის ინტენსიფიკაციას. აქვე აღსანიშნავია, რომ ენდოთელურ უჯრედებში უჯრედშიდა კალციუმის მომატება ასოცირებს ენდოთელინ-1-ის პროდუქციის გაძლიერებასთან (Boulanger C., Lucher T.F. 1990). ანუ, Ca^{2+} იონები სისხლძარღვებში ორმაგ როლს ასრულებენ – მონაწილეობენ გლუვი კუნთის კონსტრიქციის მექანიზმებში და უზრუნველყოფენ ვაზოდილატატორის NO-ს სინთეზის ინტენსიფიკაციას.

ჩვენი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ჰემორაგიული შოკის დროს ვირთაგვების ფილტვის არტერიის პრეპარატში Ca^{2+} იონების შემცველობა საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით 2-ჯერ იზრდებოდა (ცხრილი 2).

ცნობილია, რომ მწვავე ჰემორაგიული შოკის დროს სისხლძარღვების გლუვი კუნთის უჯრედებში იზრდება Ca^{2+}- და ATP-დამოკიდებული K^{+}-არხების განვლადობა (Kai., et al., 2001, Szabo C., Salzman A.L., 1996). K^{+}-არხების აქტივაცია მემბრანული პოტენციალის სტაბილიზაციას უზრუნველყოფს, რაც უჯრედის აგზნებადობას და Ca^{2+}-ის ნაკადის შემცირებას უწყობს ხელს (Kai L., et al., 1997). მაშასადამე, მწვავე ჰემორაგიული შოკის დროს განვითარებული ჰიპოქსია/იშემიის პირობებში ვირთაგვების ფილტვის არტერიაში Ca^{2+}-ის იონების შემცველობის მომატება ძირითადად ამ იონების უჯრედშიდა დეპოებიდან (მიტოქონდრიებიდან და სარკოპლაზმური რეტიკულუმიდან) გათავისუფლებით

უნდა იყოს განპირობებული. კალციუმის ჭარბი დაგროვება ენდოთელური eNOS აქტივაციას და NO-ს გაძლიერებულ წარმოქმნას უზრუნველყოფს. ამ დროს სისხლში NO-ს შემცველობა საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით 58%-ით იზრდებოდა. NO cGMP-დამოკიდებული მექანიზმით მიოზინ-დეფოსფატაზას გამააქტივებელ კინაზას ააქტივებს და ამ გზით სისხლძარღვების გლუვი კუნთის კონსტრიქციას უშლის ხელს (Landry D.W., Oliver J.A., 2001).

არსებობს მრავალი ჰიპოთეზა NO-ს გლუვი კუნთის ტონუსის რეგულაციის მექანიზმებში მონაწილეობის შესახებ (Karaki H., et al., 1997). ითვლება, რომ NO მონაწილეობს cGMP- და Ca^{2+}-დამოკიდებული K^{+}-ის არხების აქტივაციაში და მემბრანის ჰიპერპოლარი-ზაციაში, რაც თავის მხრივ, L-არხების საშუალებით კალციუმის უჯრედში შესვლას უშლის ხელს. არ არის გამორიცხული, აგრეთვე, K^{+}-ის არხების პირდაპირი ნიტროზილირება (Landry D.W., et al., 2001). ცნობილია, რომ აზოტის ჟანგი აჩქარებს სარკოპლაზმურ რეტიკულუმში კალციუმის იონების სეკვესტრაციას Ca^{2+}-ის ტუმბოს გააქტივებით (Cohen R.A., et al., 1999). ითვლება, აგრეთვე, რომ NO ხელს უწყობს სისხლძარღვების გლუვი კუნთის უჯრედებში Ca^{2+} დონის დაქვეითებას ამ იონების უჯრედული დეპოებიდან გათავისუფლების ინჰიბიციის საშუალებით (Hirata M., et al., 1990).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ჰემორაგიული შოკის დროს (განვითარებიდან 15 წუთის შემდეგ) ენდოთელიუმის უჯრედებში ჭარბად წარმოქმნილი NO სისხლძარღვების გლუვი კუნთის უჯრედებში კალციუმის L-არხების განვლადობას აინჰიბირებს (Ca^{2+}-დამოკიდებული K^{+}-ის არხების ნიტროზილირების ან cGMP-დამოკიდებული აქტივაციის გზით), სარკოპლაზმური რეტიკულუმის Ca^{2+}-ის ტუმბოს

გააქტივებას და კალციუმის იონების უჯრედულ დეპოებში დაგროვებას უზრუნველყოფს და ამ გზით თავისუფალი Ca^{2+}-იონების შემცველობის შემცირებასა და სისხლძარღვების ტონუსის დაქვეითებას უწყობს ხელს.

ჩვენი საკუთარი შედეგების და ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსპერიმენტული ჰემორაგიული შოკის დროს სისხლძარღვების ენდოთელურ უჯრედებში ჰიპოქსია/იშემიის პირობებში ადგილი აქვს Ca^{2+} იონების დაგროვებას, კალციუმდამოკიდებული eNOS გააქტიურებას და ჭარბი NO-ს წარმოქმნას. ჭარბი NO-ს დაგროვების პირობებში NO-დამოკიდებული რელაქსაციის მექანიზმები (მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების დეფოსფორილირება, მემბრანის ჰიპერპოლარიზაცია Ca^{2+}-დამოკიდებული K^{+}-ის არხების მონაწილეობით, უჯრედშიდა დეპოებიდან კალციუმის გათავისუფლების ინჰიბიცია და მისი სარკო-პლაზმურ რეტიკულუმში სეკვესტრაციის ინტენსიფიკაცია) პრევალირებს Ca^{2+}-დამოკიდებული კონსტრიქციის პროცესებზე, რაც არტერიული წნევის მკვეთრ დაქვეითებას განაპირობებს. NO-დამოკიდებული ვაზოდილატაციის განვითარებას სისხლძარღვების კონსტრიქციული ენდოთელური ET_A-რეცეპტორების ნიტროზილირებას უწყობს ხელს.

ჩვენი ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით, ჰემორაგიული შოკის დროს გამოვიყენეთ კალციუმის ანტაგონისტი, იზოპტინი. ჩვენს ექსპერიმენტებში იზოპტინის ფონზე განვითარებული ჰემორაგიული შოკის დროს არტერიული წნევის მომატებასთან ერთად ვირთაგვების სისხლში თავისუფალი NO-ს შემცველობა საკონტროლო მაჩვენებლების დონემდე დაქვეითდა, შემცირდა აგრეთვე კალციუმის შემცველობა ფილტვის არტერიის ქსოვილში (ცხრილი 2).

კალციუმის ანტაგონისტი, იზოპტინი ეფექტურად აბლოკირებს პოტენციალ-დამოკიდებული კალციუმის ნელ არხებს (L ტიპი) და ამ გზით ხელს უშლის უჯრედში კალციუმის იონების შესვლას და სისხლძარღვების გლუვი კუნთის კონსტრიქციას. დადგენილია, რომ იზოპტინი, ხელს უშლის, აგრეთვე, კალციუმის დაგროვებას ენდოთელურ უჯრედებში (Iozahen L., Devinck M.A., 1995) და eNOS მიერ NO-ს ჭარბ წარმოქმნას უზრუნველყოფს, რაც მისი დილატაციური აქტივობის დაქვეითებას განაპირობებს (Lantoine. F., et al., 1998).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰემორაგიული შოკის დროს კალციუმის ანტაგონისტის ჩვენს მიერ გამოვლენილი ჰიპერტენზიული მოქმედება წარმოადგენს ორი საწინააღმდეგოდ მიმართული პროცესის, ვაზოდილატაციის და ვაზოკონსტრიქციის შეჯამების შედეგს. შესაბამისად, არტერიული წნევის იზოპტინით განპირობებული ცვლილებები დამოკიდებულია სისხლძარღვების ტონუსის მარეგულირებელ კონსტრიქციულ და დილატაციურ მექანიზმებს შორის ბალანსზე. სხვადასხვა ავტორის აზრით (Ruschitzka F.T., e al., 1999), კალციუმის ანტაგონისტების ზემოქმედების საპასუხო არტერიული წნევის ცვლილებების ხასიათი ვაზოკონსტრიქციული და ვაზოდილატაციური მექანიზმების დისბალანსის საუკეთესო ინდიკატორს წარმოადგენს.

ჰემორაგიული შოკის დროს იზოპტინის პრევენციული ზემოქმედება სისხლძარღვების ენდოთელურ უჯრედებში კალციუმის დაგროვების ბლოკირებას, აზოტის ჟანგის კალციუმ-დამოკიდებული სინთეზის ინტენსიფიკაციის პრევენციას და NO-დამოკიდებული დილატაციური მექანიზმების მოშლას უზრუნველყოფს. ამ დროს ვლინდება ენდოთელინის

კონსტრიქციული აქტივობა. ჩვენი კვლევებით გამოვლინდა, რომ იზოპტინის პრევენციული მოქმედების ფონზე განვითარებული ჰემორაგიული შოკის დროს ენდოთელინის შემცველობა 18%-ით აღემეტებოდა საკონტროლო მაჩვენებლების დონეს (ცხრილი 2) და რჩებოდა ჰემორაგიული შოკისათვის დამახასიათებელ დონეზე. ჩვენი მონაცემები კორელირებენ ლიტერატურის მონაცემებთან იმის შესახებ, რომ უჯრედებში კალციუმის დაგროვების პრევენცია არ აინჰიბირებს ენდოთელინის გათავისუფლებას (Ruschitzka F.T., Noll G., Luscher T.F. 1999).

ენდოთელინი პოტენციალ-დამოკიდებული Ca^{2+}-არხების აქტივატორია (Yanagisawa M., 1988). კალციუმის ანტაგონისტების ზემოქმედების დროს ენდოთელინის ვაზოკონსტრიქციული ეფექტი არტერიის ტიპზეა დამოკიდებული: ზოგიერთ არტერიაში (ღორის აორტა, ადამიანის კორონალური არტერია) სისხლძარღვების გლუვი მუსკულატურის უჯრედების ენდოთელინის რეცეპტორი დაკავშირებულია პოტენციალ-დამოკიდებული Ca^{2+}-არხებთან G-პროტეინის საშუალებით (Goto K., et al., 1989, Godfraind T., 1989). ასეთ სისხლძარღვებში კალციუმის ანტაგონისტები ხელს უწყობენ ენდოთელინ-ინდუცირებული ვაზოკონსტრიქციის დაქვეითებას.

სხვა სისხლძარღვებში ენდოთელინ-ინდუცირებული კონსტრიქციული ეფექტები, ძირითადად, ხორციელდება Ca^{2+}-ის უჯრედშიდა დეპოებიდან გათავიუფლების გზით (ფოსფოლიპაზა C-ს აქტივაციის, ინოზიტოლ ტრიფოსფატის და გლიცეროლის წარმოქმნის შედეგად (Reink T.J., et al., 1988, Wallnofer A., Weir S., et al., 1989)). ასეთ სისხლძარღვებში Ca^{2+}-ანტაგონისტებს არ შეუძლიათ ენდოთელინ-ინდუცირებული კონსტრიქციის პრევენცია (Yang Z., et al., 1990).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰემორაგიული შოკის დროს იზოპტინის მიერ არტერიული წნევის

სტაბილიზაციას საფუძვლად უდევს NO-ს წარმოქმნის ინტენსივობის დაქვეითება და NO-დამოკიდებული დილატაციური მექანიზმების მოშლა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მოსაზრებას ჰემორაგიული შოკის დროს ჰიპოვოლემიის განვითარების მექანიზმებში NO-ს მნიშვნელოვანი როლის შესახებ.

ჰემორაგიული შოკის განვითარებისას NO-სინთაზას ინჰიბიტორის, LNAME-ს, პრევენციული გამოყენების დროს არტერიული წნევის მომატებასთან ერთად მცირდება Ca^{2+}-იონების შემცველობა ფილტვის არტერიის პრეპარატში და ენდოთელინის შემცველობა სისხლში საკონტროლო მაჩვენებლების დონემდე, ხოლო თავისუფალი NO-ს ეპრ სიგნალი საერთოდ არ ვლინდება სისხლის ეპრ სპექტრში (ცხრილი 2), რაც სისხლში ამ ნაერთის ძალიან დაბალი შემცველობის შესახებ მეტყველებს. NO-სინთაზას ინჰიბიტორი, LNAME, სისხლძარღვების ენდოთელიუმში აზოტის ჟანგის წარმოქმნის დათრგუნვას უზრნველყოფს, რაც სისხლში მისი შემცველობის მკვეთრ შემცირებას განაპირობებს. შესაბამისად, გლუვი კუნთის უჯრედებში ადგილი აქვს NO-დილატაციური მექანიზმების მოშლას.

LNAME-ს წინასწარი ზემოქმედების ფონზე ჰემორაგიული შოკის განვითარების დროს ენდოთელინის და Ca^{2+}-იონების შემცველობის სტაბილობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ჰიპოთეზის სისწორეს ჰემორაგიული შოკით ინდუცირებული ჰიპოვოლემიის განვითარებაში NO-ს საკვანძო როლის შესახებ.

ჟანგბადის რეაქციულ ნაერთებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მრავალი დაავადების პათოგენეზში. უდავოა, აგრეთვე, მისი როლი ჰემორაგიული შოკის დროს. მთელი რიგი ლიტერატურული მონაცემები მეტყველებენ ჰემორაგიული შოკის დროს ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებული წარმოქმნის შესახებ (Prazad K., et al., 2002, Chambers D.E., et al., 1985, Van den Bosh H., 1980). ჟანგბადის

რეაქციული ნაერთები წარმოიქმნება ორგანიზმში უხვი სისხლკარგვის შემდეგ ქსოვილების ჟანგბადით არასაკმარისი მომარაგების და პროოქსიდანტური ფერმენტების (ქსანტინოქსიდაზას, უბიქინონების) გააქტივების (Chambers D.E., et al., 1985), არაქიდონის მჟავას (Van den Bosh H., 1980), კომპლემენტის სისტემის (Fruchterman T.M., et al., 1998), ციტოკინ-სტიმულირებული მაკროფაგების (Nathan C.F., et al.,1986), ლეიკოციტების (Berton G., et al., 1986), კატექოლამინების აუტოოქსიდაციის (Misra H.P., et al., 1972, Mullano K.M., 1989) აქტივაციის შედეგად. ჰემორაგიული შოკის დროს ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებული წარმოქმნა ვლინდება ჩვენ ექსპერიმენტებში ვირთაგვების სისხლის ეპრ სპექტრში სუპეროქსიდრადიკალების და ლიპო-პეროქსიდების ინტენსიური ეპრ სიგნალის გამოჩენით (ცხრილი 3); ანტიოქსიდანტური ფერმენტების (სოდ, კატალაზა) აქტივობის დაქვეითებით და ღვიძლში ლიპოპეროქსიდრადიკალების ინტენსიური ეპრ სიგნალის მაღალი ინტენსივობით.

ჟანგბადის თავისუფალი რადიკალები ზეგავლენას ახდენენ სხვადასხვა ქსოვილების ჰომეოსტაზზე, იწვევენ მათ დესტრუქციას. დადგენილია, რომ ჟანგბადის რეაქციული ნაერთები ვაზოაქტიურობით ხასიათდებიან; NO-ს მსგავსად მათ შეუძლიათ სისხლძარღვების გლუვი კუნთის ტონუსის რეგულაცია. ისინი მონაწილეობენ სარკოპლაზმური რეტიკულუმის Ca^{2+}-იონების ტუმბოს ინაქტივაციაში (Grover A.K., et al., 1988), ასტიმულირებენ IP_3-ინდუცირებული Ca^{2+}-იონების გათავისუფლებას გლუვი კუნთის ენდოპლაზმური რეტიკულუმიდან და, მაშასადამე, ვაზოკონსტრიქციის განვითარებას უწყობენ ხელს (Suzuki Y.J., Ford G.D. 1992). აღსანიშნავია, რომ თავისუფალი NO-ს სუპეროქსიდრადიკალებთან ურთიერთქმედებისა და პეროქსინიტრიტად

ტრანსფორმაციის უნარი ამ ნაერთის ვაზოდილატაციური აქტივობის შეზღუდვას უწყობს ხელს. მაშასადამე, ოქსიდრადიკალები, ისევე როგორც ენდოთელინი, კალციუმი და NO მონაწილეობენ სისხლძარღვების ტონუსის რეგულაციაში და ხასიათდებიან ვაზოკონსტრიქ-ციული მოქმედებით.

ამავე დროს ოქსიდაციური სტრესის პირობებში ადგილი აქვს ბირთვული ფაქტორის NFkB-ის აქტივაციასა და ინდუციბელური iNOS გაძლიერებულ ექსპრესიას, რომელიც წარმოქმნის NO-ს ნანომოლურ კონცენტრაციებში. ჭარბი NO კი მდგრადი ჰიპოვოლემიის განვითარებას უწყობს ხელს (Altavilla D., et al., 2001)..

ვაზოკონსტრიქციული და ვაზოდილატაციური ნივთიერებებისა და მექანიზმების რთული ურთიერთსაპირისპირო მოქმედება და მონაცვლეობა ჰემორაგიული შოკის პათოგენეზის სიმძიმესა და მკურნალობის დაბალ ეფექტურობას განაპირობებს.

ჰემორაგიული შოკის დროს შინაგანი ორგანოების არასაკმარისი პერფუზია ქსოვილების ოქსიდაციური დაზიანების მიზეზი ხდება. ამ დროს თვით დაზიანებული ქსოვილები გადაიქცევიან თავისუფალი ჟანგბადის რეაქციული ნაერთების, ან მათი გენერატორის წყაროდ, რაც ორგანიზმში ოქსიდაციური სტრესის გაღრმავებას უწყობს ხელს.

ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა ჰემორაგიული შოკის დროს ღვიძლის ქსოვილში მიტოქონდრიული სუნთქვითი ჯაჭვის მუშაობის შეფერხება, რაც ღვიძლის ეპრ სპექტრში თავისუფალრადიკალური სიგნალების ნახევარგანის შემცირებით და სემიუბიქინონების მკვეთრი დაგროვებით ვლინდება. სემიუბიქინონები თავისუფალრადიკალური ჟანგვის მძლავრი პრომოტორები არიან. ისინი ხელს უწყობენ ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებულ წარმოქმნას და ღვიძლის ქსოვილის ოქსიდაციურ

დაზიანებას, რაც ლიპოპეროქსიდული რადიკალების და Mn^{2+}-იონების დაგროვებით ვლინდება. ჰემორაგიული შოკის დროს ღვიძლის ქსოვილის დაზიანება ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა ჰისტოლოგიური კვლევით. ჰემორაგიული შოკის დროს ღვიძლის ქსოვილში სლაჯის ფენომენი გამოვლინდა; ცენტრალური ვენები, ისევე, როგორც ინტერლობულური ვენები, გაფართოებული იყო და ერითროციტების დიდ რაოდენობას შეიცავდა. ადგილი ჰქონდა პერიპორტულ ლიმფოიდურ ინფილტრაციას. ღვიძლის უმეტეს ნაწილში წილების საერთო სტრუქტურა დარღვეული იყო. ღვიძლის წილებში მაღალი ეოზინოფილური პიკნოზური ბირთვის მქონე ჰეპატოციტების დიდი რაოდენობა გამოვლინდა, რაც უჯრედებში ნეკროზის განვითარებისთვისაა დამახასიათებელი. მორფოლოგიური ცვლილებები განსაკუთრებით ინტენსიური იყო პერიცენტრალურ ნაწილში, ცენტრალური ვენის ირგვლივ.

როგორც იზოპტინის, ასევე L-NAME-ს წინასწარი ზემოქმედების პირობებში მორფოლოგიური ცვლილებები ნაკლები ინტენსივობით ვლინდებოდა. იზოპტინის წინასწარი შეყვანის პირობებში ჰემორაგიული შოკის დროს განვითარებული სლაჯის ფენომენი არ გამოვლინდა. წილების არეში ადგილი ჰქონდა დეზორგანიზაციის უბნების ნორმალური სტრუქტურის მქონე უბნებით შენაცვლებას.

L-NAME-ს წინასწარი ზემოქმედების პირობებში სლაჯ-ფენომენი გამოვლინდა მხოლოდ რამდენიმე ცენტრალურ და ინტრალობურ ვენაში, ლიმფოიდური ინფილტრაცია საერთოდ არ ვლინდებოდა. დეზორგანიზაციის არე წილებში ჰემორაგიულ შოკთან შედარებით გაცილებით ნაკლები იყო. მაღალი ეოზინოფილური ციტოპლაზმის და პიკნოზური ბირთვის შემცველი ჰეპატოციტები ვლინდებოდა ნაკლები ინტენსივობით.

ჰემორაგიული შოკის პათოგენეზში ჟანგვითი სტრესის და NO-ს მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, ჩვენ შევისწავლეთ პლაფერონ ლბ-ს ზემოქმედება ჰემორაგიული შოკის განვითარებაზე. პლაფერონ ლბ, როგორც ცნობილია, ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტიოქსიდანტური, NO-მოდულაციური აქტივობით. როგორც ჩვენი კვლევებით დადგინდა, პლაფერონ ლბ-ს ფონზე განვითარებული ჰემორაგიული შოკის დროს არტერიული წნევის მომატება მიმდინარეობდა სისხლში ენდოთელინის, თავისუფალი NO-ს და ფილტვის არტერიების ქსოვილში Ca^{2+}-იონების შემცველობის საკონ-ტროლო მაჩვენებლების დონემდე შემცირების ფონზე (ცხრილი 2).

ღვიძლის ჰისტოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ პლაფერონ ლბ-ს ზემოქმედების პირობებში სლაჯ-ფენომენი და ლიმფოიდური ინფილტრაცია არ გამოვლინდა, შენარჩუნებულია ღვიძლის ქსოვილის ნორმალური სტრუქტურა. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ჰემორაგიული შოკის დროს პლაფერონ ლბ უზრუნველყოფს ღვიძლის ქსოვილის დაცვას დაზიანებისაგან.

მრავალრიცხოვანი კვლევები მოწმობენ პლაფერონ ლბ-ს ანტიოქსიდაციური, NO-მამოდულირებელი აქტივობის შესახებ. დადგენილია, რომ პლაფერონი ლბ არ ასრულებს ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების უშუალო სკავენჯერის როლს (C და E ვიტამინების, გლუტათიონთან შედარებით) და უზრუნველყოფს ორგანოებში და ქსოვილებში ადგილობრივი დარღვეული რედოქს-სტატუსის აღდგენას, რითაც ხელს უწყობს რედოქს-ჰომეოსტაზის აღდგენას მთელ ორგანიზმში, უზრუნველყოფს აზოტის ჟანგის რედოქს-დამოკიდებული ფიზიოლოგიური აქტივობის შენარჩუნებას და ამ გზით ხელს უწყობს ქსოვილების პერფუზიის ნაწილობრივ

ნორმალიზაციას, ორგანიზმში არტერიული წნევის სტაბილიზაციასა და ჰიპოქსიის შემცირებას.

როგორც ჩანს, პლაფერონ ლბ-ს პრევენციული ზემოქ-მედების ფონზეც NO-ს რედოქს-დამოკიდებული აქტივობის აღდგენა ხელს უწყობს არტერიული წნევის სტაბილიზაციას.

ჩვენი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზოტის ჟანგს წამყვანი როლი ეკისრება სისხლძარღვების ტონუსის რეგულაციაში კონსტრიქციულ და დილატაციურ მექანიზმებს შორის ბალანსის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების პროცესში.

ცხრილი 1

1 ვირთაგვების არტერიული წნევის (mm Hg) ცვლილებები ჰემორაგიული შოკის და სხვადასხვა პრეპარატების ზემოქმედების ფონზე

დრო (t წუთი)	კონტ-როლი	ჰემ. შოკი	ჰემ. შოკი+ LNAME	ჰემ. შოკი +იზოპტინი	ჰემ. შოკი+ პლბ
0	120,0±2,5	60,0±2,4 P_1<0,001	60,0±1,9 P_1<0,001 P_2>0,1	60,0±2,3 P_1<0,001 P_2>0,1	60,0±1,3 P_1<0,001 P_2>0,1
5	123,0±1,3	60,0±2,5 P_1<0,001	75,0±1,3 P_1<0,001 P_2<0,001	70,0±2,9 P_1<0,001 P_2<0,01	65,0±1,3 P_1<0,001 P_2>0,1
10	120,0±2,3	60,0±2,1 P_1<0,001	80,0±2,0 P_1<0,001 P_2<0,01	80,0±2,3 P_1<0,001 P_2<0,01	70,0±2,3 P_1<0,001 P_2<0,05
15	123,0±2,8	50,0±2,1 P_1<0,001	85,0±2,8 P_1<0,001 P_2<0,01	80,0±2,6 P_1<0,001 P_2<0,01	80,0±2,1 P_1<0,001 P_2<0,01

P_1 – სარწმუნოობა კონტროლთან შედარებით

P_2– სარწმუნოობა ჰემორაგიულ შოკთან შედარებით

ცხრილი 2

ვირთაგვების სისხლში თავისუფალი NO-ს, ენდოთელინისა და Ca^{2+} იონების შემცველობის

ცვლილებები ჰემორაგიული შოკის და სხვადასხვა პრეპარატების ზემოქმედების ფონზე

	კონტროლი	ჰემ. შოკი	ჰემ. შოკი+ LNAME	ჰემ. შოკი +იზოპტინი	ჰემ. შოკი+ პლბ
NO (მმ/მგ)	11,0±1,5	18,2±2,8 P_1<0,001	-	11,3±1,3 P_1>0,1 P_2<0,01	12,5±1,4 P_1>0,1 P_2<0,01
ენდოთელინი (პგ/მლ)	1,1±0,03	1,3±0,02 P_1<0,01	1,0±1,02 P_1>0,1 P_2<0,01	1,3±1,02 P_1<0,01 P_2>0,1	1,1±1,01 P_1>0,1 P_2<0,01
Ca^{2+} (mM/ml)	2,4±0,2	4,9±0,1 P_1<0,001	2,5±0,2 P_1>0,1 P_2<0,01	2,5±0,1 P_1>0,1 P_2<0,01	2,8±0,2 P_1>0,1 P_2<0,01

P_1 – სარწმუნოობა კონტროლთან შედარებით
P_2– სარწმუნოობა ჰემორაგიულ შოკთან შედარებით

ცხრილი 3

ვირთაგვების სისხლში სუპეროქსიდრადიკალების და ლიპოპეროქსიდების შემცველობის ცვლილებები ჰემორაგიული შოკის და სხვადასხვა პრეპარატების ზემოქმედების ფონზე

	კონტროლი	ჰემ. შოკი	ჰემ. შოკი+ LNAME	ჰემ. შოკი +იზოპტინი	ჰემ. შოკი+პლბ
O_2^- (მმ/მგ)	-	18,5±2,5	7,0±3,0 P<0,001	10,0±2,0 P<0,001	4,0±1,0 P<0,001
$LOO^{\cdot}$ (მმ/მგ)	-	14,0±2,0	7,6±0,4 P<0,001	9,5±0,6 P<0,001	-

ცხრილი 4

ვირთაგვების ღვიძლში პარამაგნიტური ცენტრების ცვლილებები ჰემორაგიული შოკის და სხვადასხვა პრეპარატების ზემოქმედების ფონზე

		კონტროლი	ჰემ. შოკი	ჰემ. შოკი+ LNAME	ჰემ. შოკი +იზოპტინი	ჰემ. შოკი+ პლბ
თ.რ.	ΔH	11,0±0,5	9,0±0,5 P_1<0,01	10,0±0,7 P_1>0,1 P_2>0,1	10,2±0,5 P_1>0,1 P_2>0,1	10,7±0,5 P_1>0,1 P_1<0,01
	I	10,0±0,9	12,0±0,9 P_1<0,01	11,9±0,7 P_1<0,01 P_2>0,1	10,9±0,7 P_1>0,1 P_2>0,1	10,2±0,7 P_1>0,1 P_2<0,05
FeS		12,9±0,7	5,0±0,6 P_1<0,001	14,0±0,6 P_1>0,1 P_2<0,01	14,0±0,6 P_1>0,1 P_2<0,01	12,1±0,6 P_1>0,1 P_2<0,01
Mn^{2+}		1,0±0,4	2,0±0,5 P_1<0,05	1,4±0,3 P_1>0,1 P_2>0,1	1,3±0,3 P_1>0,1 P_2>0,1	1,3±0,3 P_1>0,1 P_2>0,1
$LOO^{\cdot}$		-	3,8±0,7	1,8±0,7 P_2<0,01	1,5±0,7 P_2<0,01	0,9±0,7 P_2<0,001

P_1 – სარწმუნოობა კონტროლთან შედარებით
P_2– სარწმუნოობა ჰემორაგიულ შოკთან შედარებით

დასკვნები

1. ჰემორაგიული შოკის დროს პროგრესული ჰიპოვოლემიის განვითარების პათოგენეზში NO-ს საკვანძო როლი ეკისრება სისხლძარღვების ტონუსის რეგულაციაში კონსტრიქციულ და დილატაციურ მექანიზმებს შორის ბალანსის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების პროცესში.
2. ჰემორაგიული შოკის დროს სისხლძარღვების ქსოვილში ჰიპოქსია/იშემია-ინდუცირებული Ca^{2+}-

იონების დაგროვება და კალციუმ-დამოკიდებულ eNOS-ს აქტივაცია NO-ს გაძლიერებულ წარმოქმნას, NO-დამოკიდებული რელაქსაციის მექანიზმების აქტივაციასა და არტერიული წნევის მკვეთრ დაქვეითებას იწვევს.

3. ჰემორაგიული შოკის დროს კალციუმის ანტაგონისტის, იზოპტინის (ვერაპამილის) ჰიპერტენზიულ მოქმედებას საფუძვლად უდევს კალციუმის შემცველობის შემცირებით ენდოთელური eNOS-ს აქტივობის დაქვეითება და სისხლძარღვების გლუვი მუსკულა-ტურის NO-დამოკიდებული დილატაციური მექანიზმების მოშლა.
4. ჰემორაგიული შოკის განვითარებისას LNAME-ს მიერ NO-სინთეზის ინჰიბირება NO-დამოკიდებული დილატაციის მექანიზმების მოშლას და არტერიული წნევას მომატებას განაპირობებს.
5. ჰემორაგიული შოკის დროს ანტიოქსიდანტური ბუნების პრეპარატი, პლაფერონ ლბ ოქსიდაციური ჰომეოსტაზის, რედოქს-დამოკიდებული NO-ს სინთეზის და არტერიული წნევის ნორმალიზაციას უზრუნველყოფს.

პრაქტიკული რეკომენდაციები

1. სისხლძარღვების ტონუსის რეგულაციის კონსტრიქციული და დილატაციური მექანიზმების კონკურენტული აქტივობის და მისი ორგანიზმის რედოქს-სტატუსზე დამოკიდებულებით რეკომენდაციას

ვუწევთ ჰიპოვოლემიის მკურნალობისას ორგანიზმის ანტიოქსიდანტური აქტივობის შეფასებას.

2. NO-ს დილატაციური აქტივობის რედოქს-დამოკიდებული ხასიათისა და არტერიული წნევის რეგულაციაში ამ მოლეკულის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ ჰემორაგიული შოკის დროს, არტერიული წნევის კორექციის მიზნით, ანტიოქსიდანტების გამოყენებას.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული შრომების სია იხ. გვ. 45-ზე

ОБЩАЯ ХАРАКТЕРИСТИКА РАБОТЫ

Актуальность проблемы. Геморрагический шок является одной из разновидностей гиповолемического шока. Для гиповолемического шока характерна острая гипотензия, обусловленная рефлекторной вазодилятацией (Landry D.W., Oliver J.A., 2001). В результате массивной кровопотери (геморрагии) уменьшается объем циркулирующей крови, что способствует снижению артериального давления, венозного наполнения,
ослаблению работы сердца и развитию гиповолемического шока. Таким образом, ключевым звеном острой геморрагии является несоответствие между массой циркулирующей крови и объемом кровеносных сосудов.

